საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-02/151

ქ. ბათუმი 07 **დეკემბერი, 2020 წ**

2020-2021 სასწავლო წლისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული „ერაზმუს+“ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ზალცბურგის უნივერსიტეტში ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილებისა და ბსუ-ს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ნანა ყურშუბაძის 2020 წლის 07 დეკემბრის MES 3 20 0001165184 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს კონკურსი 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ,,ერაზმუს+“ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ზალცბურგის უნივერსიტეტში (ინფორმაცია განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ველში) მობილობის განსახორციელებლად ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების, ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შერჩევის მიზნით და განისაზღვროს შემდეგი საკონკურსო ვადები:

ა) **2020 წლის 18 დეკემბერი, 11:00 საათი - გამოცდა ინგლისურ ენაში (ტესტირება** - ინგლისური ენა B2 დონე, იმ სტუდენტებისათვის, ვინც დარეგისტრირდება და წარმოადგენს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით განსაზღვრული შესაბამის დოკუმენტაციას ელექტრონულ მისამართზე http://registration.bsu.ge, erasmus@bsu.edu.ge 2020 წლის 07 დეკემბრიდან-16 დეკემბრის ჩათვლით);

ბ) **2020 წლის 17 დეკემბერი** - საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება და შეფასება სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის (საკონკურსო კომისიის) მიერ.

გ) **2020 წლის 18 დეკემბერი, 13:30 საათი** - კონკურსანტებთნ გასაუბრება **(ჩატარდეს** საკონკურსო კომისიასთან, ონლაინ რეჟიმში, ელექტრონული პლატფორმა ,,ზუმის“ საშუალებით და გასაუბრების ზუსტი დრო დამატებით ეცნობოთ სტუდენტებს ბსუ-ს

ვებგვერდის ან/და მათ მიერ საკონკურსო განაცხადში მითითებულ ტელეფონებზე/ელექტრონულ ფოსტაზე;

დ) **2020 წლის 21 დეკემბერი** - კონკურსანტთა სიების გადაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტებში.

2. დამტკიცდეს საკონკურსო **კომისიის ძირითადი შემადგენლობა:**

ა) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე (თავმჯდომარე);

ბ) ირაკლი კორძაია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ/შ (თავმჯდომარის მოადგილე);

გ) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

დ) ლევან ჯაყელი - იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

ე) ნუნუ ჯაფარიძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.

3. სტუდენტების კონკურსის წესით შერჩევა განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით დამტკიცებული ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესით'' განსაზღვრული კრიტერიუმებით და პროცედურებით.

4. წინამდებარე ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ, პროფესორმა ნათელა წიკლაშვილმა.

5. ბრძანების ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდსა (კონკურსების ველში) და საინფორმაციო დაფებზე (კანცელარიასთან) განთავსება უზრუნველყოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა და კანცელარიამ, მათი კომპეტენციების შესაბამისად.

6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს), საკონკურსო კომისიის წევრებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და რექტორის მოადგილეებს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**